პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 12 მაისი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 103 (801) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განის ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## ბუქარესტის კონფერენცია—უნაყოფო ცდაა!

ევროპის რეაქციის გაძლიე-
რებასთან ერთად გაძლიერდა
ისი მტრული დამოკიდებუ-
ლება საბჭოთა კავშირისადმი.
ბურჟუაზიული პრესა ყოველ
ზა ჯვარედინზე გაჰყვირის
ოლშევიკური საფრთხეზე და
აპიტალის ყველა ერთგულთ
არულად თუ აშკარად მოუ-
ოდებს კომუნიზმის წინააღმ-
დეგ სამღვთო ბრძოლისაკენ.
იდათ გამრავლდა აგრეთვე
ომინტერნის და საბჭოთა მთა-
რობის ყალბი დოკუმენტების
აოდენობაც. ამ მხრივ ბურ-
უაზიული სახელმწიფოები
რთი მეორეს აჭარბებენ.
საქმე იქამდის მივიდა, რომ
ოგიერთი ბურჟუაზიული გა-
ეთიც იძულებული გახდა წი-
ააღმდეგ გამოსულიყო ამ ყა-
ბი საბუთების მზადებისა. მა-
რამ ევროპის ბურჟუაზია მა-
ტო ანტი-საბჭოთა აგიტაცი-
თ როდი კმაყოფილდება. სიტ-
ვასთან საქმესაც აკეთებს.
ევროპის მტაცებლები დი-
ის ენერგიით სცდილობენ
აერთიანონ იმპერიალისტური
რონტი ჩვენს წინააღმდეგ.
სინი აწყობენ სხვა და სხვა
აიდუმლო კონფერენციებს,
ოგორც ეს მაგალითად რიგა-
ი იყო. ამ კონფერენციებზე
რჩევა გეგმები საბჭოთა კავ-
შირის წინააღმდეგ მოქმედები-
ა და სხვა.
და ბოლოს რუმინეთის დე-
აქალაქში ბუქარესტში მიმ-
ინარე კონფერენცია მცირე
ნტანტისა რა არის, თუ არა
ედა ანტი-საბჭოთა ძალების
ობილიზაციისა.
დღეს რადიო გადმოგვცემს,
ომ საფრანგეთის რეაქციონე-
ები ყოველ ღონისძიებას ხმა-
ობენ არ დაუშვან განხეთქი-
ლება მცირე ანტანტაში და
ექმნან ერთიანი ანტი ბოლ-
შევიკური ფრონტი ბალკანე-
ში.

ამ რიგად ჩვენ კვლავ ვდგევართ ბურჟუაზიის ახალ იერიშის წინაშე, რომელიც მიმართულია ჩვენს წინააღმდეგ და გამოიხატება გაცოფებულ პროვოკაციულ კამპანიაში. ჩვენი წარმატებები აღმშენებლობის დარგში მოსვენებას არ აძლევენ ევროპის ბურჟუაზიას. ამიტომ არის რომ იმპერიალისტები საშინელ გესლს ანთხევენ ჩვენს წინააღმდეგ და ყოველ მხრივ სცდილობენ ხელი შეგვიშალონ.

ტყუილი იმედებია. არაფერი არ გამოუვათ. მაგალითისათვის ავიღოთ იგივე მიმდინარე კონფერენცია მცირე ანტანტისა ბუქარესტში. კონფერენციაზე თავი შეიყარენ თითქმის ყველა წვრილ ფეხა იმპერიალისტებმა. მათ შეფიცეს ერთმანეთს ერთგულება კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ როცა ბულგარეთმა ამავე ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სთხოვა ჯარის გადიდების ნებართვა, კონფერენციამ კატეგორიული უარი უყო.

რას ნიშნავს ეს? რას ამტკიცებს ეს უარი?

მას რომ იმპერიალისტებს გარდა იმისა, რომ კომუნიზმის და რევოლიუციის ეშინიათ, მათ აგრეთვე ერთმანეთის ნდობაც არა აქვთ.

მათი ინტერესები შეურიგებელია. ამიტომაც მათი ყოველგვარი ცდები შექმნან მტკიცე კავშირი თავის შორის მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ, ყოველთვის დამარცხებით დამთავრდება.

მასთან საბჭოთა რესპუბლიკა იმდენათ ძლიერი და წელ გამაგრებულია, რომ ის ყოველთვის დაიცავს თავის ინტერესებს. ამის გარანტიას მას წითელი არმია აძლევს.

---

## პოლონეთის მრეწველები დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან სავაჭრო კავშირის განმტკიცებით.

გაზეთების ცნობით პოლონეთის მრეწველობის სხვა და სხვა დარგის წარმომადგენლების ჯგუფები აპირებენ მოსკოვში ჩამოსვლას საბჭოთა კავშირის გაცნობისა და მასთან კავშირის განმტკიცების მიზნით.

მათი ასეთი განზრახვა გამოიწვია პოლონეთის საბჭოთა მსხვილი სავაჭრო საზოგადოების დაარსებამ.

# ახალი რადიო-ამბები

## პროვოკატორების ყეფა გრძელდება.

საბოლოოდ გამოირკვა რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი საფრანგეთის პოლიტიკური წრეები აქეზებენ ანტანტას, რათა შექმნას მან ბუქარესტის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ერთიანი ბლოკი (კავშირი).

მათი ორგანოები სცდილობენ დაამტკიცონ, რომ მოსკოვი ხელს უწყობს ფულით კომუნისტურ და ტერორისტულ მოძრაობას ბალკანეთში.

პოლ ბერტელე, რომელიც ცნობილია მოსკოვის შესახებ თავისი ღვარძლიანი წერილებით, აქვეყნებს ინტერვიუს და ყალბ საბუთებს, რომლის მიზანია დაამტკიცოს მოსკოვის მონაწილეობა ბულგარეთში მომხდარ აფეთქებაში.

როგორც უკვე იყო ცნობა, ბულგარეთის წარმომადგენელი დაესწრება მცირე ანტანტის კონფერენციას ბუქარესტში.

---

## უქმად ჩაიარა კალფოვის შრომა ანუ პროვოკაცია.

მცირე ანტანტის კონფერენციაზე ბუქარესტში მიღწეულ იქნა ერთსულოვანი შეთანხმება ევროპასა და მცირე ანტანტაში დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

„ნეიე ფრეიე პრესეს“ კორესპონდენტი იუწყება, რომ კონფერენციამ უარყო ბულგარეთის შუამდგომლობა საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღების შესახებ.

ასე რომ ტყუილად ჩაუარა შრომა ბულგარეთის მინისტრ კალფოვს, რომელიც მოგზაურობდა სხვა და სხვა ქვეყნებში და წინასწარ უმზადებდა ნიადაგს ბულგარეთის შუამდგომლობას და ეწეოდა პროვოკაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კონფერენციაზე ირჩეოდა საკითხი საბჭოთა კავშირისადმი, კომუნისტურ პროპაგანდისადმი და გერმანიისადმი დამოკიდებულების შესახებ.

კონფერენციის წრეები გადმოსცემენ, რომ მცირე ანტანტა აპირობს შეიტანოს საკუთარი საგარანტიო ოქმის პროექტი ერთა ლიგაში.

ამ პროექტში გათვალისწინებულია ბლოკის შექმნა, რომელშიაც უნდა შევიდნენ მცირე ანტანტის სახელმწიფოები, პოლონეთი, საფრანგეთი, ბელგია და სხვა.

---

## მცირე ანტანტის კონფერენციის ოფიციალური ცნობა.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა მცირე ანტანტის ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მცირე ანტანტის წარმომადგენლები იძულებული არიან ყურადღებით განიხილონ ევროპის უკანასკნელი ამბები, სახელდობრ: ჰინდერბურგის პრეზიდენტად არჩევა, რაიც მოასწავებს მონარქიისაკენ დაქანებას, კომუნისტური საფრთხე ბალკანეთში, „რასაც ხელს უწყობს საბჭოთა მთავრობა რომელსაც ჰყავს თავისი აგენტები ვენაში,“ და ბოლოს, გერმანიის განზრახვა-შემოიერთოს ავსტრია.

---

## „ჩვენ მოვიგებდით რუსეთთან კავშირით“.

### კლაინსის განცხადება.

ინგლისის მუშათა პარტიის წევრმა კლაინსმა ლინკოლნიშირში გამართულ მიტინგზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ითამაშებდა მომხმარებელ ბაზრის როლს ინგლისის მრეწველობისათვის.

მან განაცხადა: „ჩვენ უფრო მეტს მოვიგებდით მჭიდრო კავშირით რუსეთთან, ვინემ იმ დახმარებით, რომელიც ჩვენ გავუწიეთ გერმანიასა და სხვა ქვეყნებს,—ჩვენს ყოფილ მტრებს იმპერიალისტურ ომში.

ყოველი ფინანსიური დახმარება რუსეთზე,—ეს იქნებოდა ჩვენი საკუთარი ეკონომიისა და მრეწველობის დახმარება. ჩვენ სახელოსნოებს ესაჭიროებათ დაკვეთა, ხოლო რუსეთის ტერიტორიის დიდძალ მოსახლეობას შეუძლია მოგვცეს ჩვენ ეს დაკვეთა.

ბოლოს კლაინსი შეეხო პროფმოძრაობის მთლიანობას და განაცხადა: „თუ რომ რუსებს სურთ, მაშინ მათ თავისი მოთხოვნილება კი არ უნდა წამოაყენონ, არამედ უნდა შეუერთდენ საერთაშორისო მოძრაობას იმ პირობებში, რომლებიც მიღებულია ყველა ქვეყნების მიერ.

---

## ხელსაყრელი „საბუთები“ ავანტიურისტებისთვის.

ამ ბოლო დროს ისე გახშირდა „მოსკოვის საბუთების“ პოვნა, რომ თვით მსხვილი კაპიტალისტური პრესაც აცხადებს პროტესტს ასეთი საშუალების ხმარების გამო მტრობის გასაღვივებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როცა პარიზის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობები, რომ „აღმოჩენილი საბუთები“ ამტკიცებენ „მოსკოვის აგენტების მონაწილეობას“ მაროკოს აჯანყებაშიო, სტინესის ორგანო „დეიჩე-ალგემეინე ცაიტუნგი“ სწერდა: „მოსკოვის საბუთები“ მუდმივი ხელსაყრელი საშუალება ხდება იმ მთავრობათათვის, რომლებსაც ხელთ არ აქვთ უკეთესი საბუთი თავისი ავანტიურისთვისო.“

---

## ამერიკა აძლიერებს საზღვაო ძალებს.

ამერიკის პარლამენტის საზღვაო კომიის თავმჯდომარემ ბუტლერმა განაცხადა, კონგრესის უახლოეს სესიაზე განზრახულია შეტანილ იქნას კანონ-პროექტი გავაისის კუნძულებზე უძლიერესი საზღვაო ბაზის შექმნის შესახებ.

წყნარ ოკეანეზე საზღვაო მანევრებთან დაკავშირებით, ამერიკის პრესა აწარმოებს ამ ჟამად აგიტაციას ამერიკის შეიარაღების გაძლიერების სასარგებლოდ წყნარ ოკეანეზე.

---

## ბელგიის ახალი კაბინეტი.

ჰავასის სააგენტოს ცნობით ვანდერველდემ შეადგინა ახალი კაბინეტი, რომელშიაც ის შედის აგრეთვე როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი.

---

## ბრძოლა მაროკოში.

ჰავასის სააგენტო რაბატიდან იუწყება: „გავრცელებული ხმების წინააღმდეგ რიფებს არ დაუკავებიათ ლუდაის პოსტი. მათ დაიკავეს მხოლოდ ამ პოსტის ნაწილი, მაგრამ ესეც დამარცხებულ იქნა არტილერიის ცეცხლით“.

## მუნიციპალური არჩევნები პარიზში.

მოხდა არჩევნები პარიზის მუნიციპალურ დაწესებულებებში.

უკანასკნელ შედეგების მიხედვით პარიზის მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: 4 კონსერვატორი, 14 რესპუბლიკანელი, 23 მემარცხენე რესპუბლიკანელი, 6 დამოუკიდებელი რადიკალი, 6 რადიკალ-სოციალისტი, 5 რესპუბლიკანელი-სოციალისტი, 14 სოციალისტი და 3 კომუნისტი.

## შემთანხმებელთა სასწრაფო კონფერენცია.

მეორე ინტერნაციონალის [აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს სოციალისტური პარტიების სასწრაფო კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან სხვათა შორის ვანდერველდე, ტომას შოუ და ფრიც ადლერი.

## ჯალათების მსხვერპლნი.

რუმინეთის კომუნისტების პროცესის მე-7-ე დღეს, ბრალდებულთა ერთი ნაწილი ისე დასუსტდა შიმშილობით, რომ საკაცეებით, შემოჰყავდათ ისინი სასამართლოს დარბაზში.

სასამართლოს მე-8-ე დღეს 17 ბრალდებულს უკვე აღარ შეეძლო სასამართლოში გამოცხადება, იმდენად არიან ჯან-გატეხილი შიმშილობით.

## აქაც პროვაკატორები.

ვარშავში დადის ხმები, რომ უკანასკნელი რკინის გზის მარცხი პოლონეთში მოწყობილია პროვოკატორების მიერ, რომ შემდეგ ყველაფერი ეს დაებრალებიათ კომუნისტებისთვის.

## „ოხრანკის“ ხელმძღვანელობით.

მოწმეების დაკითხვის დროს უკრაინის დეპუტატების გასამართლებაზე როვნოში, ადგილობრივი დამცველი რაზმის უფროსი სკალსკი სასამართლოს კარებთან პირადად არიგებდა მოწმეებს, თუ რა და როგორ უნდა ელაპარაკათ იმათ სასამართლოში.

სასამართლოს დარბაზში მყოფი აგენტები ცნობებს აწვდიდენ სკალსკის იმის შესახებ, თუ როგორ ჩვენებას აძლევდენ სასამართლოს დამცველი მხარის მოწმეები.

სასამართლოს მუდმივი კავშირი აქვს ვარშავასთან.

## “ბოლშევიკები არაფერს არ სტოვებენ პასუხის გაუცემლად“

პოლონური გაზეთები იტყობინებიან, რომ პოლიციამ დააკავა გაზ. „კურიერ ჩერვონნი“, რომელმაც დაბეჭდა პროვოკაციული ცნობა საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ.

„რეჩ პოსპოლიტა“ იწონებს ამ ზომას და აღნიშნავს, რომ კულტურულ საზოგადოებაში სავალდებულოა ბრძოლაშიაც კი დაცულ იქნას ცნობილი ფორმები, მით უმეტეს, რომ „ბოლშევიკები არაფერს არ სტოვებენ პასუხის გაუცემლად“.

## ბელორუსიის ახალი ცაკის პირველი სესია.

ბელორუსიის ახალი ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პირ. სესიის გახსნა. ცაკის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ჩერვიაკოვი. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია ადამოვიჩი.

## შეღავათები სოფლის სამრეწველო დაწესებულებებს.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საგადასახადო შეღავათები სოფლის დაწესებულებებისთვის.

## ბულგარეთის კომუნისტების მოწოდება.

ბულგარეთის კომპარტიის სახელით კოლაროვმა და დიმიტროვმა გაუგზავნა „დეილი ჰერალდს“, „იუმანიტეს“, კაშენს, ბარბიუსს, ინგლისის კომუნისტურ დეპუტატს საკლათვალს და მუშათა პარტიის მოღვაწეებს—პერსელს, ლანსბერისა და ბენ-ტილეტს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„ბულგარეთის მთავრობა წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით ყოველგვარ გასამართლების გარეშე ათასობით დახვრიტა ფაშიზმის მოწინააღმდეგები, მათ რიცხვში ჟურნალისტები, ექიმები, ინჟენერები, ვექილები, სამხედრო მასწავლებლები და სტუდენტები.

მოკლული არიან მუშათა მოძრაობის მრავალი ლიდერები. გადარჩენ მხოლოდ ტყეში და საზღვარ გარეთ გაქცეულები.

ცანკოვმა ჯოჯოხეთი დაატრიალა ბულგარეთის მუშათა და გლეხთა მოძრაობის თავზე. ეს საშინელება გრძელდება. დიდი სახელმწიფოები დამნაშავენი არიან ცანკოვის მხეცურ მოქმედებაში, რომლებმაც მისცეს 10.000 ჯალათის მობილიზაციის ნება ბულგარეთის ხალხის გასანადგურებლად. იმედი გვაქვს, რომ სასწრაფოდ გამოგვეხმაურება ევროპის მშრომელი მასები“.

## მაკედონელ რევოლიუციონერთა ბელადის მოკვლა,

### ანუ ცანკოვის მორიგი ბნელი საქმე.

8 მაის ვენის ქალაქის თეატრში წარმოდგენის დროს მოკლულ იქნა მაკედონელთა ბელადი ტოდორ პანიცა. მკვლელი ქალი მონიცა კარნიჩნუ პანიცას მხლებლებში ერია. მძიმედ დაიჭრა პანიცას მეუღლე და ორი კაცი.

პანიცა იყო მაკედონელ რევოლიუციონერთა ბელადი, რომელიც თავს უყრიდა მათ ბალკანეთის ფედერაციის გარშემო, სცდილობდა თავისუფალ მაკედონიის შექმნას, რომლის წინააღმდეგ იბრძოდა ცანკოვი.

პანიცის მკვლელობა ცანკოვის მორიგი შავი საქმეა, რომელსაც ხელს უწყობს მისი მომხრე პროტოგეროვის ჯგუფი.

## წითელი ფლაგი საბჭოთა საელჩოზე ტოკიოში.

ტოკიოში (იაპონიაში), საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაზე 10 მაისს ინტერნაციონალის სიმღერით აღმართულ იქნა საბჭოთა კავშირის „ფლაგი“.

## ვრანგელი იფრინეს რუმინეთიდან.

ვრანგელი სამხრეთ-სლავიიდან ბუქარესტში გადავიდა. ნაციონალურ პარტიის ორგანო „რომანია“ იუწყება, რომ მას წინადადება მისცეს გასულიყო საზღვარ-გარედ 24 საათის განმავლობაში, ვინაიდან ვრანგელს არ აქვს „ვიზა“ რუმინეთში შესვლის შესახებ.

# სამხედრო საქმე.

## შენიღბვა ბანაკში.

ზამთრის განმავლობაში მეომრები საკმაოდ გაეცვნენ იმას, თუ რა არის შენიღბვა და რისთვისაა ის საჭირო· მაგრამ —თუ რა და როგორ გააკეთო ნამდვილ ბრძოლაში, რათა დაჰფარო თავისი მოქმედება, სამყოფი ადგილი ან მოატყუო მტერი თავის განზრახვებში და სხვა ყოველივე ამაში ძალიან ცოტა პრაქტიკა აქვთ მეომრებს. დგება ზაფხული. მეცადინეობა იწარმოებს განსაკუთრებით მინდვრად ისეთ გარემოებაში, როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ ბრძოლაში. ამიტომ ყოველმა მეომარმა უნდა გააკეთოს ყველაფერი ის რის გაკეთებაც მას მოუხდება ნამდვილ ბრძოლაში.

და აი აქ ყოველი მეომარი უნდა გაეცნოს ბუნებრივი შენიღბვის ყველა ხერხს, ე. ი. როგორსაც მიმართავს მთელი ჯარი და თვითეული მეომარი მიხელში მყოფ საშუალებით.

არც ერთი გასვლა მინდვრად, არც ერთი სწავლება არ უნდა ტარდებოდეს ისე, რომ ყოველი მეომარი არ ასრულებდეს იმას, რაც უნდა გაკეთდეს შენიღბვის მხრივ მოცემულ პირობებში. ეს კიდევ ცოტაა, მინდვრად სწავლებაზე მოძრაობის, ბანაკში დაბრუნების, და რაიმე ამოცანის ასრულების დროს სწავლებასთან დამოუკიდებლად, და საერთოდ მთელი ზაფხულის სწავლების განმავლობაში მუდამ უნდა სწარმოებდეს მეცადინეობა შენიღბვის საქმეში.

უნდა გამოიმუშაო თავისთავში შენიღბვის დისციპლინა, რათა შეაჩვიო მშვიდობიან პირობებში ყოველივე იმას, რის გაკეთებაც მოგიხდება ბრძოლაში. მაგალითად ცხენოსანმა შიკრიკმა შტაბთან მისვლისას უნდა დაბას თავისი ცხენი სადმე ხის, რაიმე საფარის ქვეშ, ჩრდილში. ის არას დროს არ უნდა ფიქრობდეს, რომ ცხენი შეიძლება დასტოვო შეუნიღბავად, დაუფარავად.

როგორი მეცადინეობაც არ უნდა მიდიოდეს, შენიღბვა ერთი მთავარ საკითხთაგანი უნდა იყოს. ყოველივე ამის პრაქტიკულად შესწავლა შეიძლება ბანაკში, ზაფხულის განმავლობაში.

თუ რომ კეთილსინდისიერად და სერიოზულად მოეკიდება ყრობა სწავლების ამ უმთავრეს განყოფილებას, ყოველი მეომარი სწრაფად შეიძენს საჭირო გამოცდილებასა და მოხერხებას და მაშინ აღარ იქნება ბრძოლის დროს ზედმეტი მსხვერპლი, რაიც უმთავრესად შედეგია უცოდინარეოპისა და გაუწვრთნელობის.

საბანაკო პერიოდი გამოყენებულ უნდა იქნას ყოველ მეომარში შენიღბვის დისციპლინის შთისანერგად.

## ზედმიწევნით მარჯვე სროლა.

წარსული ომის დასაწყისში გერმანელებთან ხშირი იყო შემთხვევა, როცა ჩვენს წყობილებაში იღუპებოდა მეთაურთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მაგალითად 1914 წელს, აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლის დროს, ხოლო შემდეგ ავგუსტოვის ტყეებში და მაზურის ტბებზე იმავე წლის სექტემბერში იყო დღეები, როცა გერმანელებმა, მაგ. სოფელ ოლშანკთან შემოტევის დროს, ამოხოცეს 3-4 საათის განმავლობაში რუსეთის ქვეითი ჯარის მეთაურთა შემადგენლობის 60 პროც. იმავე დროს ყველა ერთნაირად იყო ჩაცმული, მხოლოდ მეთაურთა შემადგენლობა განირჩეოდა მარტო მხრებზე ირიბად გადარტყმულ ღვედებით. ამას ხსნიდენ ისე, როგორც უბრალო შემთხვევითი მოვლენას.

მაგრამ ხელში ჩაიგდეს ტყვე გერმანელი, რომელმაც ილაპარაკა, რომ გერმანელი საუკეთესო მსროლელები შეარაღებული იყვნენ თოფებით, რომლებსაც კორებზე ჰქონდათ მოწყობილობა, რაიც საშუალებას აძლევდა მსროლელთ 500-600 ფეხის ნაბიჯზე კარგად გაერჩიათ მტერი და შეემუსრათ ისო.

ასეთ ზედმიწევნითი მარჯვე სროლას საზღვარ გარედ ეწოდება „სწაიპინგი“ და კარგად გაწვრთნილ სპეციალისტს, რომელსაც შეუძლია აწარმოოს ასეთი სროლა, ეწოდება—„სნაიპესი.“

ამ ჟამად ჩვენი მეზობლები ფართედ ავითარებენ სასროლო საქმეს და აძლევენ მას დიდ მნიშვნელობას მომავალ ომებში. ისინი ამბობენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოგვევლინება ავტომატიური იარაღები, ე. ი. ისეთი რომლებიც სულ მცირე დროში (წუთში, წამში) გაისვრიან ათეულ, ასეულ ტყვიას, ცალკე მსროლელს მაინც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. და თუ ეს მსროლელი კარგად იქნება მომზადებული, ის შეასრულებს იმ ამოცანებს, რომლის შესრულებაც არ შეუძლია ავტომატიურ იარაღს.

ასეთი იარაღით შეიარაღებული მეომარი გაანადგურებს მტრის მეთაურთა შემადგენლობას, მის მოთვალთვალეებს მის „სნაიპერებს“, ქვემეხებზე მდგომ მეომრებსა და სხვა, ე. ი. ისეთ პირებს, რომელნიც წარმოადგენენ მოპირდაპირესთვის უფრო დიდ საშიშროებას.

მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი კარგი, მარჯვე მსროლელი გახდე, გარდა ოპტიურ (მომახლოებელი) კორიანი თოფის საჭიროა იცოდე იარაღის კარგი ხმარება.

მატერიალურ სიძნელეთა გამო ჩვენ არ შეგვიძლია ამ ჟამად შევაიარაღოთ მსროლელები გაუმჯობესებული იარაღით ამიტომ საჭიროა ყოველმა მეომარმა ისე შეისწავლოს თავისი თოფი, რათა შეეძლოს საბრძოლო პირობებში ყოველ მიზნის შემუსვრა არჩევით.

თავისთავად ცხადია, რომ ამ მიზნის მისაღწევად ყოველ მეომარს მოეთხოვება დიდი მუშაობა სროლის საქმის შესწავლის საქმეში და განსაკუთრებით მოეთხოვება მას პრაქტიკული მუშაობა.

უნდა გვახსოვდეს რომ მტერი არ სძინავს: ის სწავლობს და განუწყვეტლივ აუმჯობესებს სროლის პრაქტიკას. სწავლობს ამ საქმეს, ხარჯავს მაზე დიდ ძალასა და საშუალებას. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოვრჩეთ მას. ყოველი წითელი არმიელი უნდა იყოს საუკეთესო მარჯვე მსროლელი, ხოლო ამისათვის კი საჭიროა კეთილ-სინდისიერად შეუდგეს სროლის საქმის შესწავლას და მიზნად უნდა ჰქონდეს გამოვიდეს წითელი სნაიპერი.

## სამხედრო ქიმია.

### „გამძლე“ და „არა გამძლე“ სამხედრო გაზები.

წინა წერილებში ჩვენ დავყავით საომარი გაზები მათი მომწამვლელი მოქმედების მიხედვით რამოდენიმე ჯგუფად: მახუთარ, მომწამვლელ, ცხვირის მაცემინებელ, ლაკრიმატორ ჯგუფებად და სხვა. მაგრამ სტრატიგიულ და ტაქტიკურ მოსაზრებით აუცილებელ საჭიროდ სთვლიან დაყოფილ იქნას ყველა გაზები, მათი მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით, ორ ჯგუფად: „გამძლე“ (ხანგრძლივ მომქმედი) და „არა გამძლე“ (მოკლეხანში მომქმედი)

არა გამძლე გაზებს ეკუთვნის ის გაზები, რომლებიც ჰაერში ჩქარა კარგავენ თავის მომწამვლელ თვისებებს, ან და უბრალოდ ადიან მაღლა და იბნევიან. იმ რაიონში, სადაც გაშვებულ იქნება ეს გაზები, რამოდენიმე საათის შემდეგ სრულიად უშიშრად შეიძლება გავლა. ასეთ „არა გამძლე“ გაზებს ეკუთვნიან: ქლორი, ფოსგენი, ლილის სიმჟავე, ბრომაცეტონი და სხვა.

გაზების ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის, მაგალითად „იპრიტი“ ან მდოგვის გაზი და ლიუიზიტი, წარმოადგენს გამძლე გაზების ჯგუფს. ამ ჯგუფს აქვს დიდი სამხედრო ღირებულება.

„გამძლე“ გაზები სწამლავენ რაიონს რამოდენიმე დღით, კვირით და თვითაც კი.

„გამძლე“ გაზების ასეთი თვისების გამო მათ ხმარობენ არა როგორც მარტო დამკვრელი ხასიათის გაზებს მტრის დასამარცხებლად ბრძოლის მომენტში, არამედ რომელიმე უბნის დასაცავად, რომ ის მტერმა არ დაიკავოს.

ადგილის ასეთი საშუალებით დაცვას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი დაძლევა არ შეიძლება არც გაბედული იერიშით, არც გაძლიერებული გრიგალისებური ცეცხლით არტილერიიდან. „გამძლე“ ქიმიური გაზი შეიძლება მოშორებულ იქნას მოწამლულ რაიონიდან მხოლოდ ქიმიური საშუალებით.

მაგრამ „გამძლე“ გაზების სამხედრო მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. „გამძლე“ გაზებიდან ისეთები, რომლებიც უფერო არიან და სუნი არ აქვთ, შეიძლება შეუმჩნევლად იქნან გაფანტული (ჰაეროპლანით) მინდორზე და გზებზე და კარგა ხნით მოსწამლონ და გაუვალი გახადონ ეს ადგილები.

ვინაიდან ამ გაზებს არ აქვთ ფერი და სუნი, ისინი შეუმჩნევლად სწამლავენ გამვლელებს.

ამიტომ მეომრები და მშვიდობიანი მცხოვრებლები მუდამ ფხიზლად უნდა იყონ და ყოველთვის უნდა მოელოდენ საფრთხეს ამ შეუმჩნევლად მომქმედ საშიშარ და დაუნდობელ მტრისაგან.

მეორეს მხრივ, თუ მოვიგონებთ უმეტესობა ამ გაზების სხმოების გამჩენ თვისებას, ცხადია, რომ მათგან თავის დაცვა განსაკუთრებით ძნელია, ვინაიდან ისინი მოქმედობენ მთელი სხეულის კანზე, რაიც აიძულებს მეომარს ატაროს მძიმე, გაზის საწინააღმდეგო ტანსაცმელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ეს გაზები ხმარებულ იქნებიან უფრო ხშირად და დიდი რაოდენობით ვინემ სხვა გაზები და რომ მათ აქვთ დიდი სამხედრო ღირებულება.

ლ. ვორონოვი.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

## ᲞᲐᲠᲢᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ.

ჩვენს გაზეთში ხშირათ იწე-რება პარტმუშაობის შესახებ ამა თუ იმ ნაწილის ცხოვრე-ბიდან, რომლებიც შინაარსით თვრათ არ განირჩევიან ერთი მეორისგან, რაც ერთგვარ ნა-კლათ უნდა ჩაითვალოს. პარ-ტიული კრების დღის წესრიგის გადმოტანა გაზეთის ფურცლე-ბზე ხელს არ უშლის, თუ კი აღნიშნული საკითხები ისე არი-ან გარჩეული, როგორც შეე-ფერება მას ე.—ი. დასმულ საკითხის შინაარსიანათ ამოწუ-რვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ მართლა ყველაფერი რიგზე კეთდებოდეს ამ დარგში. აქ ვსურს ამხანაგების ყურადღე-ბა მივაქციოთ ერთ უმთავრეს საკითხს, რომელსაც ამდენხანს ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული კოლექტივების და უჯრედების ბიუროების მხრივ. ეს არის კრების დღის წესრი-გის შედგენა, სათანადო მომ-ხსენებლების მომზადება და უჯრედების წევრების წინას-წარ გაცნობა დღის წესრიგ-თან. როგორ ვიცით ყოველ-თვის კრების დღის წესრიგს ამუშავებს უჯრედის ბიურო და გამოაქვს საერთო კრებაზე დასამტკიცებლათ. სწორეთ აქაა საჭირო მცირე განმარტების მიტანა უჯრედის ბიუროების მუშაობაში. ბიუროს სხდომებს, ხშირათ ნაჩქარები ხასიათი აქვს, ასეთი შთაბეჭდილებაა, თით-ქმის ყველას ადრე უნდა მორ-ჩეს საქმეს და წავიდეს თავის-თვის.

ბიუროს ასეთი მუშაობა უნაყოფო იქნება, რადგან რო-დესაც კაცი ადრე წასვლაზე ფიქრობს, მას ბევრი საყურა-დღებო საკითხები დაავიწყდება. ძალიან ხშირათ სულ უბ-რალო საკითხებს აყენებს უჯ-რედის კრებაზე გასარჩევათ და უფრო სერიოზული კითხვების გარჩევა კი ავიწყდებათ. ამის მაგალითი ძალიან ბევრი გვექ-ნება, თუ კი წასულ მუშაობას გადავავლებთ თვალს. კიდევ ბიუროს მუშაობის ნაკლი იმა-ში გამოიხატება, რომ ხშირათ ისეთ საკითხს დააყენებს უჯ-რედს გადასაწყვეტად, რომე-ლიც თვით ბიუროსაც სავ-სებით შეუძლია გადაჭრას და შემდეგ გააცნოს დადგენილება უჯრედს. ამიტომ ბიუროების მიერ საჭიროა მიექციოს უმ-თავრესი ყურადღება დღის წესრიგების გამომუშავებას, წი-ნააღმდეგ შემთხვევაში ზოგი-ერთი კითხვების დაგვიანებით გარჩევას მნიშვნელობა ეკარ-გება და უჯრედი უკან რჩება ცხოვრებას.

ხშირათ, ზოგიერთ ბიუროე-ბში მოხსენებები რიგ რიგო-ბით ნაწილდება უჯრედის წევ-რთა შორის და შეუძლია თუ არა მოხსნების გაკეთება ამა თუ იმ წევრს ამაზე ნაკლებათ ფი-ქრობენ. ზოგიერთს ასე აქვს წა-რმოდგენილი თუ კი პარტიის წევრია და უჯრედში ირიცხე-ბა, მაშასადამე მოხსენებებიც ყველამ უნდა გააკეთოს პარ-ტიული დისციპლინის ძალით და თუ ვინმემ ვერ შესძლო ეს გულგრილობათ და დაუდე-ვრობათ ჩაეთვლება მას. ასეთი შეხედულობა არ არის სწორი. ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რათა ყველას, ვინც უჯრედში მუშაობს, კარგათ გავეცნოთ მათი მომზადების დონეს და ისე უნდა განაწილდეს მოხსე-ნებები, რომ მართლაც მომ-ხსენებელმა შესძლოს დავალე-ბული საქმის შესრულება. ვი-საც ევალება მოხსენების გაკე-თება, ის დროულათ უნდა იყოს გაფრთხილებული და ამა-ვე დროს ბიურომ ყოველთვის უნდა მიუთითოს სახელმძღვა-ნელოზე, საიდანაც მან უნდა ისარგებლოს მასალებით მოხ-სენების შესადგენათ. აქვე აღვ-ნიშნოთ თუ როგორ უნდა მოემზადოს უჯრედის შემად-გენლობა იმ კითხვების გასარ-კვევათ, რომელიც ბიუროს მიერ დასმული იქნება დღის წესრიგში. ბიურომ ოთხი ხუ-თი—დღით ადრე უნდა გამოაკ-რას განცხადება კრების დანიშვ-ნის დღისა და დღის წესრიგი. იქვე უნდა აღინიშნოს თუ რო-მელი წიგნებიდან შეიძლება ისარგებლონ უჯრედების წევ-რებმა, აღნიშნულ კითხვების გასაცნობად.

თუ შემდეგში უჯრედების ბიუროები ასე მოაწყობენ კრე-ბებს, მისი მუშაობა ნაყოფიე-რი იქნება.

აღნიშნული დეფექტები გა-მორკვეულ იქნა სამხედრო უჯრედების გამსინჯავ კომი-სიის მიერ, რაზედაც კომისიამ მისცა სათანადო დირექტივე-ბი მის შემდეგისთვის გამო-სასწორებლათ.

**ს. ლომიძე.**

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ.

### პირველი ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში მეცადინეობის საქმე შეიძლება ითქვას, რომ ფრიად დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული, მეცა-დინეობა შეუწყვეტლად მიმდინარეობდა ყველა დარგებში.

ლეგიონის მეთაურები და პოლიტხელებიც საკმაოდ ენე-რგიულები აღმოჩნდენ.

მაგრამ ლეგიონმა ამ ჟამად მიიღო ახალი ძალები, რომ-ლებმაც აიღეს თავის თავზედ ჩვენი არმიელების პოლიტიკუ-რად მომზადების საქმე.

ესენი არიან პოლიტიკური სკოლის დამთავრებული კურ-სანტები.

ახალი პოლიტხელები დიდი ენერგიით მოეკიდენ საქმეს, ზოგნი შეუდგა ლენინის კუთხის გაჯახალისებას, ზოგი პო-ლიტ ლატარეიების მოწყობას, და განსაზღვრულ საათებს გარდა ისინი თითქმის სულ ლეგიონში ატარებენ და აწარ-მოებენ საუბრებს წითელ არმიელებში.

7 ახალი პოლიტხელი, 7 ახალი პარტიის წევრი შეემა-ტა ჩვენს ლეგიონს.

გაუმარჯოს მათ მომავალ ენერგიულ და დაუღალავ მუ-შაობას.

**სამხედრო მათრახი.**




## ᲐᲮᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულში დიდის აღ-ფრთოვანებით უკვე მოვიდნენ ახალწვეული წითელ არმიე-ლები, რომლებიც დაბადებულნი არიან 1902 წ. და რომლე-ბიც გასული წლის გამოწვევის დროს განთავისუფლებულ იქ-ნენ ოჯახური მდგომარეობის გამო.

ასეული ყოველმხრით მზად დაუხვდა ახალწვეულების მოსვლას. ექიმის თანაშემწემ ადრევე მოაწყო კარანტინი ახ-ალწვეულთათვის, სადაც უკანასკნელებმა დაჰყვეს მხოლოთ ორი დღე. ახალწვეულებს უკვე მიეცათ ტანსაცმელები, ფეხ-საცმელები და სხ.

წერა—კითხვის უცოდინარნი ახალწვეულებში არ არიან. მხოლოდ ორი მათგანი წერა კითხვის მხრივ მოისუსტებს. და-ნარჩენი წერა-კითხვის კარგი მცოდნენი არიან.

ჩვენი ასეული უკვე ემზადება საბანაკოთ გასავლათ. ახალწვეულები ჯერ კიდევ ვერ იცნობენ საბანაკო ცხოვრებას.

ახალწვეულები დიდის ინტერესით ეცნობიან წითელი არმიის ყაზარმულ ცხოვრებას და მუშაობაში უკვე იჩენენ სა-თანადო აქტივობას.

გაუმარჯოს ჩვენთან მოსულ ახალწვეულებს—მომავალ მხედრებსა და წითელ საკავშიროელებს.

**სამხედრო შალაშინი.**

## ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

ჩვენი ტერიტორიალური დი-ვიზიის ნაწილებს ზოგიერთი აღმასკომები და პარტკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ცენტრიდან მიღებულ განკა-რგულებებს ტერ-ნაწილების და-ხმარების და უზრუნველყოფის შესახებ ისინი მხოლოდ „ცნო-ბად“ ღებულობენ.

მე აქ მხედველობაში მყავს დუშეთის მაზრის აღმასკომი რო-მელსაც სრულებით არ უნდა შეიგნოს ის, რომ მის მაზრაში მდგომი მე-6 ე ლეგიონის № ასეული იმყოფება აღმასკომის მზრუნველობის ქვეშ.

იყო ასეთი შემთხვევა, რომ ასეულის თავმა და პოლიტ-ხე-ლმა მიმართეს აღმასკომის თა-ვმჯდომარეს თხოვნით, რათა შეკეთებული ყოფილიყო ყაზარ-მები ვინაიდან ახლო მომავალ-ში უნდა ნამოეწვიათ 1902 წე-ლში დაბადებული ახალგაზრ-დობა.

ასეულს არა აქვს ყაზარმა შეკეთებული, არც წყალი და არც სინათლე. აღმასკომის თავ-მჯდომარე იმის მაგივრად, რომ სათანადო დახმარება გაგვიწიოს, გაჯაერებული და თან ირონი-ული კილოთი გვეუბნება:

„რამდენი მოგცეთ ნაღდათ, რომ აქედან მოშცილდეთო“.

ჩემის აზრით ასეთი სიტყვე-ბით არ უნდა გვიმასპინძლდებო-დეს აღმასკომის თავმჯდომარე.

მომავალში კი ასეთ გაუგებ-რობას არ უნდა ექნეს ადგი-ლი და ადგილობრივ ხელის-უფლებამ უყოყმანოთ უნდა შეასრულოს უმაღლესი მთავ-რობის მიერ გაცემული განკა-რგულებანი, მის მაზრაში მდგომ ტერ-ნაწილების უზრუნველყო-ფის შესახებ.

**პოლიტხელი ასათიანი.**

## ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲛᲔ-3 ᲐᲗᲐᲡᲔᲣᲚᲨᲘ.

2 მაისს დიდის ზეიმით გახ-სნილ იქნა წითელ არმიელთა კლუბი მესამე ათასეულში.

აქნობამდე ხსენებულ ათასე-ულის წითელ არმიელებს არ ჰქონდათ საკუთარი კლუბი, რაც ძლიერ აფერხებდა ყოველ-გვარ საგანმანათლებლო მუშა-ობას.

კლუბის შენობისათვის ამო-რჩეულ იქნა ერთ ერთი ძველი ყაზარმა. ყაზარმის კლუბათ გადაკეთებისათვის დიდი შრომა დახარჯეს ყველა წითელი არმი-ელებმა და ნაწილობრივ მწვე-ვამდელებმაც.

საერთო ძალით წითელ არ-მიელებმა, რამოდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ შენობა უკვე გაამზადეს კლუბისათვის. მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა ამხ. მესხი.

30 აპრილს შენობა უკვე მზათ იყო. 2 მაისს მოხდა კლუბის, საზეიმო გახსნა ადგ. ხელისუფლების, წითელ არმიე-ლთა და მოქალაქეთა თანდას-წრებით. ზეიმი გახსნა ამხ. სუ-რგულაძემ, რომელმაც შეეხო წითელი არმიის აღმშენებლობას და კლუბის გახსნის მნიშვნე-ლობას.

სამპარტკომის სახელით კლ-უბის გახსნის დროს სიტყვა წა-რმოსთქვა ამხ. კ. გორდელა-ძემ.

შემდეგი სიტყვები წარმოს-თქვეს ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებ-მაც ათასეულს უსურვეს ენერ-გიული მუშაობა და ტერ-სის-ტემის უმტკივნეულოთ გატარე-ბა ცხოვრებაში.

ზეიმის დროს შემოტანილ იქნა წინადადება, რომ კლუბს დაერქვას ამხ. ფილიპე მახარა-ძის სახელი. წინადადება ერთ-ხმად იქნა მიღებული, რის შე-მდეგ ამხ. ფ. მახარაძეს გაეგზა-ვნა მისასალმებელი დეპეშა.

წითელ-არმიელთა კლუბის მოწყობისათვის მესამე ათასეულს დიდ დახმარებას უწევდა ამხ. კოტე გორდელაძე, რისთვისაც ის ათასეულმა აიყვანა საპატიო წითელ-არმიელათ.

საზეიმო სხდომის გათავების შემდეგ ახალ კლუბში ჩატარე-ბულ იქნა ორ მოქმედებიანი პიესა, რითაც დიდი კმაყოფი-ლი დარჩა დამსწრე საზოგადო-ება.

**კ. ჩხაიძე.**

## ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲥᲝᲮᲔᲑᲡ
### (ᲬᲘᲗᲔᲚ ᲯᲐᲠᲡ)

(დასასრული)

ვიბრძოდით..
ვიბრძვით.
ვშრომობდით...
ვშრომობთ.
რა არ შევქმენით
ამ ქვეყნიურათ,
წითელ სხივოსანს
დროშას მზიურათ
ვაფრიალებდით
და ვაფრიალებთ.
და ამ კოჟრიან
ფოლადის ხელებს
ვერვინ აღუდგა,
ვერც აღუდგება.
ჩვენ დავანგრიეთ
სამყარო ძველი,
ავაცამტვერეთ
სამყარო ბნელი
და ახალ ხანას
ახალ ქვეყანას
შრომის ქვეყანას
ურყევი ნებით
დღეს დავსდარაჯებთ.

——

დიახ შევჩერდით
და შევასვენეთ ბარიკადები,
ჩვენი რიგები განვამტკიცეთ და
გადავხედეთ ძველს სამყაროებს:
საფლავებიდგან
დგებიან მკვდრები,
თავ გაჭეჭყილი.
ისმის სისინი
გველისებური,
შხამ გესლით სავსე
ბოღმით აღსავსე.

——

სუ! კვნესა ისმის
მონების ძრწოლა—
იქ კომუნარებს
ბნელ საკანებში
შიმშილ
სიცივში,
სულს უხუთავენ,
გესმით მებრძოლნო!
მაშ ერთხელ კიდევ
ბარიკადებზე,
მაშ ერთხელ კიდევ !
ბრძოლის სიმღერა.
დინამოების
ცეცხლების ბგერა;
დე, სამუდამოთ
დაემხოს მტერი—
და გაცამტვერდეს
ქვეყნები ძველი,
და დროშა ცეცხლის
დროშა წითელი,
მსოფლიოს თავზედ
ავაფრიალოთ!
დაჰკარით ბუკი,
ჩქარა ნაღარა
სიკვდილი მტარვალს,
წყევლა და კრულვა
სრესა სახლებს,
და შემდეგ კიდევ
ქარხნის ტრიუმფებს
აუნთოთ ბოლი,
და ჩაქუჩები
ჟანგიან გრდემლზედ
ავათამაშოთ.
და ავაყვავოთ
შრომით ქვეყანა!
წყევლა და კრულვა
სრე სასახლეებს,
მშვიდობა ქოხებს
მშვიდობა ქოხებს!

**გოგიტო ციმბირელი.**

## ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ.

(გაგრძელება.)

კლუბთან მოწყობილია აგრეთვე სხვა და სხვა წრეები, მაგალითად სამხედრო, დრამატიული, სალიტერატურო, სამ-ხატვრო და მომღერალთა წრეები. ყველა ამ წრეების მუშაო-ბას ხელმძღვანელობს კლუბი. წრეებში მუშაობა კარგ დო-ნეზე არის დაყენებული გარდა სალიტერატურო წრისა.

დრამ წრე მეზობელ სოფლებში და წითელ არმიელთა კლუბში თავისი ძალებით ხშირად მართავს რევოლიუციონურ პიესებს.

სამხატვრო წრესაც გამშვენებული აქვს სკოლის კედლე-ბი. მომღერალთა წრეც თავის დონეზე დგას. მხოლოდ ძლი-ერ მოისუსტებს სალიტერატურო წრის მუშაობა: არ ხდება სალიტერაცურო გასამართლებები და სხვა.

კლუბს ყავს სარედაქციო კოლეგია, რომელმაც გამოდცემა ამ ორი თვის წინათ. ეხლა უშვებს სისტემატიურად გაზეთებს, რომელშიაც თანამშრომლობს კურსანტების 95 პროცენტი და უფროსი შემადგენლობა.

კედლის გაზეთში შუქდება ჩვენი სკოლის ყოფა ცხოვრება, ზოგიერთ უზნეო ამხანაგების ცუდი საქციელი და სხვ. ამასთანავე ერთად კვირაში ერთხელ კუთხეები უშვებს შუქის გაზეთს, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი ხასიათი აქვს.

სკოლის სარედაქციო კოლეგიის კედლის გამოშვებასთან ერთად აქვს განზრახული გამოუშვას სკოლის ჟურნალი. ასე ამ რიგათ კლუბმა, როგორც სხვა ჯარის ნაწილებმა ისე ჩვენც დიდი მიღწევები მოგვცა, და გაამართლა თავისი დანიშნულება.

სამხედრო ონ. მაისაია.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ.

**მესამე ლეგიონი.**

მესამე ლეგიონის ბიბლიოთეკა თან და თან აფართოებს თავის მუშაობას.

ყველა ასეულებში დაარსებულია საბიბლიოთეკო წრეები, რომლებიც აწარმოებენ მხატვრულ კითხვას და ინტერპრეტაციებს წ. არმიელების ცოდნის შეძენით. წრეებში წითელ არმიელ-წევრების რიცხვი თან და თან მატულობს, წიგნებით და ჟურნალ—გაზეთებით ყველაზე დაინტერესებული არიან. ბიბლიოთეკა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ლენინის კუთხეებში. ამნაირად წიგნის და ბიბლიოთეკის კვირეული დიდი წარმატებით ტარდება.

კამპანიის ჩატარებაში დიდ დახმარებას გვიწევენ ლეგიონის სამხკომი და ბიურო—კოლექტივის მდივანი.

სამხედრო მეთვალყურე.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**სამნეო მუშაობა.**

ჩვენი სამნეო ნაწილის შესახებ მრავალი რამ იწერებოდა და განსაკუთრებით იწერებოდა დეფექტებზე, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ყველა ისინი გამოსწორებულია. სამნეო ნაწილის უფროსი ენერგიულ ზომებს ღებულობდა ყველა გამოაშკარავებულ დეფექტების წინააღმდეგ.

ლეგიონის შემადგენლობა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ინვენტარით. ამ ჟამად ჩვენი მწე შეუდგა ასეულების მეურნეობის მომზადებას, რომლებთანაც სისტემატიურად აწარმოებს მეცადინეობას. ეს გარემოება დიდ გარანტიას იძლევა იმისა, რომ ამ უახლოეს დროში ჩვენი ლეგიონის ასეულში გვეყოლებიან სამნეო დარგის გამოცდილი მომუშვეები.

**კვება.**

წინად თუ ცუდათ იყო ლეგიონში დაყენებული კვების საქმე, ამ ჟამად ამის ადგილი აღარ აქვს. სადილები მზადდება სუფთად და საკმაო ნოყიერი. ამხანაგებში ამ მხრივ უკმაყოფილებას ადგილი არ აქვს. ჩვენი უფროსების მთელი ყურადღება აქეთკენ არის მიქცეული.

პურიც კარგი ხარისხის და მშვენიერად გამომცხვარი გვეძლევა. პურის საცხობში ზედმიწევნით არის დაცული სისუფთავე. ლეგიონის თავი და სამხკომი ყოველ-დღე სინჯავენ პურს პურის საცხობშივე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წითელი მოლაშქრეების კვების საქმე ძლიერ კარგად არის დაყენებული, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსი არიან ჩვენი მეხვეურენი.

სამხედრო ს. იმნაიშვილი.

## ᲐᲛᲮ. ᲨᲐᲚᲐᲨᲘᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ მე-№ 102-ში სამხედრო შალაშინი თავის წერილში სწერს, „რომ 1-ლ კ. მ. ლ. ცალკე საკავშირო ასეულში საკარანტინო ოთახში ყოველივე თავის რიგზე არ არის. ოთახში მოთავსებულნი არიან გადამდები სენით შეპყრობილი წითელ არმიელები და რომ ავადმყოფი წითელ-არმიელები არ არიან განცალკევებულნი სხვა ჯანსაღ წითელ არმიელებისა და ახალ წვეულებისაგან.“

საკავშირო ასეულში გადამდები ავადმყოფობა არ არის, მხოლოდ კარანტინის რომ ნაკლოვანებებს ყურადღება არ ექცევა ასეულის მხრივ ამას მეც ვუმოწმებ ამხ. შალაშინს.

საჭიროა ასეთი გულგრილობა კარანტინზედ შემდეგისათვის გამოსწორებულ იქნას.

ექიმთანაშემწე გოგოძე.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

— **მანქანები ამერიკიდან.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ აპრილის შუა რიცხვებში ნიუ-იორკიდან გამოიგზავნა სას.—სამ. მანქანები ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის.

— **დასასვენებელი დღეები.** შრ. სახალხო კომისარიატის დადგენილებით დასასვენებელი დღეები 13 და 27 ივლისი და 10 აგვისტო გაუქმებულია. ახალ დადგენილების გამოცემამდე უქმე დღეებათ რჩება 7 ნოემბერი და 20 და 25 დეკემბერი.

— **გლეხკომების წევრებს.** სრ. საქ. გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა დაბეჭდოს გლეხებისათვის დასარიგებლათ გლეხკომების წევრობის წიგნაკები.

— **სასოფლო—სამეურნეო იარაღების შესაძენათ,** გლეხკომების ცენ. კომიტ. დაადგინა აწარმოოს მოლაპარაკება ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობასთან.

— **ფოთის, ქობულეთის და აფხაზეთის ჭაობების ამოსაშრობათ** ამ. კავკ. წყალთა მეურნ. სამმართველომ გადასდო 270 ათასი მანეთი.

— **მუშა-ხელის დაქირავება.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით დაწესებულებანი მოვალენი არიან მუშა-ხელი მოიწვიონ მხოლოთ საშუამავლო ბიუროდან.

— **რძის ნაწარმოებთა** საქ. მის გასაუმჯობესებლათ ა. კ. სასოფლო—სამეურნ. ბანკს ერთი წლის განმავლობაში გაუცია სესხად 121 ათასი მანეთი.

— **საქსოვი ქარხანა.** შრომის ბირჟას გადაწყვეტილი აქვს ახლო ხანში გახსნას ტფილისში საქსოვი ქარხანა, სადაც იმუშავებს 40 უმუშევარი.

— **აგარაკებზე წასასვლელათ** განცხადებების მიღება ავათმყოფთა შემოწმების შესახებ იწარმოებს მხოლოთ 20 მაისამდე.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ-ᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘ.

ოქტომბრის რევოლიუციამ საბოლოოდ გაანთავისუფლა ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ერები. მათ შორის დღეს ბევრი შედის საბჭოთა კავშირში, როგორც დამოუკიდებელი, თანასწორი საბჭოთა რესპუბლიკა. უმეტესობა კი, რომლებიც ბალტიის ზღვის ნაპირებზე მდებარეობენ, როგორც ფინლიანდია, ესტონია, ლატვია, პოლონეთი და ლიტვა, დღემდის საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას განაგრძნობენ და იმყოფებიან ანტანტის უდიდეს გავლენის ქვეშ. როგორც საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოები და იარაღი ანტანტის ხელში მათი ინტერვენციულ პოლიტიკის გატარებისათვის საბჭოთა კავშირის მიმართ, ჩვენთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ვიქონიოთ მათ ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე დაახლოებითი წარმოდგენა.

### ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ

**გეოგრაფიულ—ეტნოგრაფიული მდგომარეობა.**

ესტონეთს ამჟამად უკავია სრულიად ყოფილი ესტლანდიის გუბერნიის, ლიფლიანდიის გუბერნიის, პერნოვის, ვეროსის, ეზელის, იურიევის და ფელინის მაზრების ტერიტორია და ნაწილი პსკოვის გუბერნიისა. ესტონეთის საერთო არე უდრის დაახლოებით 43.000 კვად. ვერსტს. მის ნაწილს შეადგენენ კუნძულები: დაგო, ეზელი, მოონი, ნაიგენი და ეხვები.

ესტონეთს დასავლეთით საზღვრავს ლატვია, აღმოსავლეთით საბჭოთა რუსეთი. ესტონეთის ზღვის საზღვრები დიდ როლს თამაშობს ესტონეთის ცხოვრებაში, რადგან იქ ბევრი ბუნებრივი ნავთსადგურებია. ესტონეთის ხალხი ეკუთვნის ფინურ—უგორების ჯგუფს და ენით ძლიერ მონათესავე არიან ფინების. ესტონეთის მოსახლეობა უდრის 1.250.000 სულს (1922 წლის აღწერით); თვით ესტები მოსახლეობის დიდ უმეტესობას შეადგენენ; ისინი=92 პროც. 5,2 პროც=რუსები, 1,3 პროც.—გერმანელები და დანარჩენები კი—1,5 პროც.

სარწმუნეობის მხრივ: მოსახლეობის 85 პროც.—ლიუტერანებია, დანარჩენი 15 პროც.—კატოლიკები, მართლმადიდებელნი და ებრაელები. ამ ქვეყნის უდიდესი ცენტრი ქ. რეველია (ტალინი), მისი მოსახლეობა უდრის 160.000 სულს. მას მისდევს იურევი (60 ათასი), ნარვა (35 ათასი) და პერნოვი (23 ათასი).

**ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ.**

თანახმად 1920 წლის 15 ივნისის კონსტიტუციისა, ესტონეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. უზენაესი უფლება 100 დეპუტატისაგან შემდგარ პარლამენტის ხელშია, რომელიც ამტკიცებს მინისტრთა საბჭოს და ირჩევს პრეზიდენტს. პარლამენტი ირჩევა კუდამოძუებულ ოთხკუდიან ფორმულის საფუძვლებზე (საერთო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემა). მიუხედავად ქვეყნის და მოსახლეობის სიმცირისა, ესტონეთში ბლომათაა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შეიძლება გაიყოს რამოდენიმე კატეგორიებად:

1) ბურჟუაზიულ—რეაქციონური ჯგუფი „გლეხთა კავშირით“ სათავეში. ამ ჯგუფს ამ ჟამად პარლამენტში 34 მანდატი აქვს.

2) ბურჟუაზიულ—ლიბერალური ჯგუფი, რომელიც ეყრდნობა ბურჟუაზიულ ინტელიგენციას და გლეხობის ნაწილს. ამ ჯგუფის სათავეში დგას „სახალხო პარტია“. პარლამენტში მას ათი მანდატი აქვს.

3) წვრილ—ბურჟუაზიული ჯგუფი, რომელიც ორი პარტიისაგან შესდგება. „ტრუდოვიკები“ (შრომის ჯგუფი), რომლებიც რუსეთის ტრუდოვიკების წმინდა წყლის კოპიოა და სოციალ-დემოკრატები, რომელიც მენშევიკების მემარჯვენე ფრთას წარმოადგენენ.

წვრილ ბურჟუაზიულ ჯგუფს პარლამენტში 40 მანდატი აქვს.

4) კომუნისტური ინტერნაციონალის ჯგუფი, რომელშიაც შედის ორი პარტია: „ესტონეთის კომუნისტური პარტია“ (კომინტერნის სექცია) და „დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია“, რომელიც თან და თან უახლოვდება კომუნიზმს. ამ ჯგუფს პარლამენტში 16 წარმომადგენელი ყავს, მათ შორის 5 ნამდვილი კომუნისტი.

ესტონეთში ამ ჟამად ხელისუფლება პირველ სამ ჯგუფებისაგან შემდგარი კოალიციის ხელშია და პოლიტიკურ ვითარების მიხედვით, ხშირად, მათ შორის რომელიმე პარტიას არ უწევს მონაწილეობა მთავრობაში, უმეტესად კი სოციალ-დემოკრატებს.

(გაგრძელება იქნება)

ნ.

## ᲐᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘ?

**ამოცანა № 19**

ერთი ყარაულის უფროსის განკარგულებაშია 300 კაცი. არის ასეთი 4 საგუშაგო:




დიდი ციხე. აუცილებლად თითეულ კედელთან საგუშაგოზე ყარაულის უფროსმა უნდა დააყენოს 100-ასი კაცი, წინაამდეგ შემთხვევაში ის უზრუნველყოფილი არ არის ხიფათისაგან. როგორც ვიცით მის განკარგულებაში მხოლოდ 300 კაცია.

როგორ უნდა მოიქცეს ყარაულის უფროსი, რათა თავისი სამასი კაცი ისე გაანაწილოს, რომ თითეულ საგუშაგოზე 100 კაცი იდგეს?

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

**მიწის სიღრმეთა ელექტრონული გამოკვლევა ამერიკაში.**

ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკაში აწარმოებენ დედამიწის გულის გამოკვლევას ელექტრონის წესით.

ეს გამოკვლევა სწარმოებს შემდეგი წესით: ერთგვარ ელექტრო გამტარების საშვალებით მიწაში უშვებენ ცვალებად ელექტრო ნაკადს, რომელიც ვრცელდება ყველა მიმართულებით. ჩვეულებრივ ქვიშიან ნიადაგში ნაკადი ჩადის 1000—1500 მეტრის სიღრმემდე.

როდესაც ნიადაგი წარმოადგენს ერთგვაროვან შემადგენლობას, ელექტრო ნაკადი ვრცელდება მის ყველა ფენებში ნორმალურად—ელექტრო ტეხნიკის კანონების თანახმად.

თუ ელექტრო ნაკადის მიწაში გავრცელების დროს ის (ნაკადი) გადიხარა რომელიმე მიმართულებით, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ნაკადს წინ დახვდა ნიადაგში სხვა გვარი შემადგენლობა—ჯიში მაგ: თიხნარი. სწორედ ეს გარემოება იქნა გამოყენებული დედამიწის ქვენიადაგის გამოკვლევისათვის ამერიკაში.

საჭიროა მხოლოდ ერთხელ მოახდინოთ ასეთი წესით მიწის ქვენიადაგის გამოკვლევა, რომ დაუყონებლივ მიიღოთ ყოველგვარი ცნობები ქვენიადაგის შემადგენლობის შესახებ.

**ელექტრონული ხელსაწყო ბრმებისათვის**

ლენინგრადის პროფესორ ბ. ლ. როზინმა გამოიგონა სპეციალური ხელსაწყო ბრმებისათვის. ბრმა გადაიცვამს თუ არა ხსენებულ ხელსაწყოს, მას საშვალება ეძლევა, ასე ვსთქვათ „გაიგონოს“ მზის სხივები—სმენით გაარჩიოს სინათლე—სიბნელისაგან.

ამ აპარატში მოთავსებულია ეგრეთ წოდებული, ფოტო-ელემენტი. ის წარმოადგენს მცირე მოცულობის ბურთის მაგვარ შუშის ჭურჭელს—მისი ერთი ბოლო დაფარულია კალიუმის ამალგამით (ამალგამა ტყვია ნარევი ვერცხლი, რომელიც სარკის შუშას აქვს მოცხებული ერთი მხრიდან). ჭურჭლის შუაგულში იმყოფება პატარა ლითონის მავთული.

თუ შევუერთებთ კალიუმის ამალგამს და ლითონის მავთულს პაწია ელექტრო ბატარეიას და სასმენ ელსძენის მილს, მივიღებთ ელექტრონული აპარატს, რომელსაც აუარება სარგებლობის მოტანა შეუძლია ბრმებისათვის.

სინათლის სხივები ასეთ აპარატზე მოქმედებით, ელსმენის მილში წარმოშობენ განსაზღვრულ ბგერებს: რაც უფრო ინტენსიური იქნება სინათლის ძალა აპარატთან, იმდენად უფრო ძლიერი იქნება ბგერა ელსმენში.

ამნაირად ბრმა, რომელიც გადიცვამს ასეთ აპარატს, მშვენივრად არჩევს სინათლის ინტენსიობის ხარისხს, სმენითი ორგანოს—ყურის საშვალებით.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე